


















**დამატებითი მითითებები სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის წევრებისათვის სახიფათო ტვირთების სახიფათო თვისებების მახასიათებლებთან მიმართებაში დაყოფილი კლასებად და არსებული ვალდებულებების მიხედვით მისაღებ ღონისძიებებად**

საშიშროების ნიშნები და საინფორმაციო ტაბლოები	სახიფათო თვისებების მახასიათებლები	დამატებითი მითითებები
(1)	(2)	(3)
<p>ფეთქებადი ნივთიერებები და ნაკეთობები</p>  <p><b>1. 1.5 1.6</b></p>	<p>შეიძლება ჰქონდეთ ისეთი თვისებები და ეფექტი, როგორებიცაა, მასობრივი დეტონაცია; ნამსხვრევების გაბნევა; ინტენსიური ხანძარი/თბური ნაკადი; კაშკაშა აფეთქების გამოჩენა; დიდი ხმაური და ბოლი. მგრძობიარობა ბიძგებზე ან/და დარტყმებზე ან/და სითბოზე</p>	<p>თავი შეაფაროს თავშესაფარს, და ამავე დროს მოსცლდეს ცეცხლს.</p>
<p>ფეთქებადი ნივთიერებები და ნაკეთობები</p>  <p><b>1.4</b></p>	<p>აფეთქების და ხანძრის უმნიშვნელო რისკი</p>	<p>თავი შეაფაროს თავშესაფარს.</p>
<p>ადვილალეხადი აირები</p>  <p><b>2.1</b></p>	<p>ხანძრის რისკი. აფეთქების რისკი. შეიძლება იყოს წნევის ქვეშ. მოხუთვის (მოხრჩობის) რისკი. შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა ან/და მოყინვა. მოცულობის გაცხელებისას შეიძლება აფეთქდეს.</p>	<p>თავი შეაფაროს თავშესაფარს. მოერიდოს დაბალ ადგილებს.</p>
<p>არაალეხადი, არატოკსიკური აირები</p>  <p><b>2.2</b></p>	<p>მოხუთვის (მოხრჩობის) რისკი. შეიძლება იყოს წნევის ქვეშ. შეიძლება გამოიწვიოს მოყინვა. მოცულობის გაცხელებისას შეიძლება აფეთქდეს.</p>	<p>თავი შეაფაროს თავშესაფარს. მოერიდოს დაბალ ადგილებს.</p>
<p>ტოკსიკური აირები</p>  <p><b>2.3</b></p>	<p>მოწამვლის საშიშროება. შეიძლება იყოს წნევის ქვეშ. შეიძლება გამოიწვიოს დამწვრობა ან/და მოყინვა. მოცულობის გაცხელებისას შეიძლება აფეთქდეს.</p>	<p>გამოიყენოს ნიღაბი სატრანსპორტო საშუალებიდან ავარიულად გამოსვლისათვის. თავი შეაფაროს თავშესაფარს. მოერიდოს დაბალ ადგილებს.</p>
<p>ადვილალეხადი სითხეები</p>  <p><b>3</b></p>	<p>ხანძრის რისკი. აფეთქების რისკი. მოცულობის გაცხელებისას შეიძლება აფეთქდეს.</p>	<p>თავი შეაფაროს თავშესაფარს. მოერიდოს დაბალ ადგილებს. არ მისცეს გაჟონილ ნივთიერებას წყლის გარემოში ან საკანალიზაციო სისტემაში შეღწევის საშუალება.</p>
<p>ადვილალეხადი მყარი ნივთიერებები, თვითრეაქტიული ნივთიერებები და დესენსიბილირებული ფეთქებადი ნივთიერებები</p>	<p>ხანძრის რისკი. ადვილალეხადი ან საწვავი ნივთიერებები შეიძლება ააღდეს სითბოს, ნაპერწკლის ან ცეცხლის შედეგად. შეიძლება შეიცავდეს გაცხელების, სხვა ნივთიერებებთან კონტაქტის (როგორებიცაა მჟავები, მძიმე მეტალების შენაერთი ან ამინები), ხახუნის ან დარტყმის შემთხვევაში</p>	<p>არ მიეცეს გაჟონილ ნივთიერებას წყლის გარემოში ან საკანალიზაციო სისტემაში შეღწევის საშუალება.</p>



 <p><b>4.1</b></p>	<p>ეგზოთერმული დაშლის თვისების მქონე თვითრეაქტიულ ნივთიერებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს მავნე ან ადვილად აღებადი აირების ან ორთქლის გამოყოფა. მოცულობის გაცხელებისას შეიძლება აფეთქდეს.</p>	
<p><b>(1)</b></p>	<p><b>(2)</b></p>	<p><b>(3)</b></p>
<p>თვითაღებადი ნივთიერებები</p>  <p><b>4.2</b></p>	<p>თვითაღების რისკი, თუ დაზიანებულია შეფუთვა ან მოხდა შიგთავსის გაჟონვა. შესაძლებელია წყალთან მძაფრად რეაგირება.</p>	
<p>ნივთიერებები, რომლების გამოყოფენ ადვილად აღებად აირებს წყალთან შეხებისას.</p>  <p><b>4.3</b></p>	<p>ხანძრის და აფეთქების რისკი წყალთან შეხებისას.</p>	<p>დაყრილი პროდუქტი უნდა დაიფაროს და დარჩეს მშრალად</p>
<p>მჟანგავი ნივთიერებები</p>  <p><b>5.1</b></p>	<p>აალებისა და აფეთქების რისკი. შესაძლებელია ადვილად აღებად ნივთიერებებთან შეხებისას მძაფრად რეაგირება.</p>	<p>მოერიდონ ადვილად აღებად ნივთიერებებთან ან საწვავებთან მათ შერევას (მაგ. ნახერხი)</p>
<p>ორგანული პეროქსიდები</p>  <p><b>5.2</b></p>	<p>ეგზოთერმული დაშლის რისკი გაცხელების, სხვა ნივთიერებებთან კონტაქტის (როგორებიცაა მჟავები, მძიმე მეტალების შენაერთი ან ამინები), ხახუნის ან დარტყმის შემთხვევაში. ამან შეიძლება გამოიწვიოს მავნე ან ადვილად აღებადი აირების ან ორთქლის გამოყოფა.</p>	<p>მოერიდონ ადვილად აღებად ნივთიერებებთან ან საწვავებთან მათ შერევას (მაგ. ნახერხი)</p>
<p>ტოქსიკური ნივთიერებები</p>  <p><b>6.1</b></p>	<p>მოწამვლის საშიშროება. წარმოადგენენ წყლის გარემოსა და საკანალიზაციო სისტემისათვის საშიშროებას.</p>	<p>გამოიყენოს ნილაბი სატრანსპორტო საშუალებიდან ავარიულად გამოსვლისათვის.</p>
<p>ინფექციური ნივთიერებები</p>  <p><b>6.2</b></p>	<p>ინფექციის საშიშროება. წარმოადგენენ წყლის გარემოსა და საკანალიზაციო სისტემისათვის საშიშროებას.</p>	
<p>რადიოაქტიური ნივთიერებები</p>	<p>შთანთქმისა და გარეგანი რადიოაქტიური გამოსხივების რისკი.</p>	<p>შეიზღუდოს ზემოქმედების დრო</p>

 <p>7A 7B 7C 7D</p>		
<b>(1)</b>	<b>(2)</b>	<b>(3)</b>
<p>დაშლადი ნივთიერებები</p>  <p>7E</p>	<p>ბირთვული ჯაჭვური რეაქციის საშიშროება.</p>	
<p>კოროზიული ნივთიერებები</p>  <p>8</p>	<p>დამწვრობის რისკი. შესაძლებელია ერთმანეთის მიმართ, წყალთან და სხვა ნივთიერებებთან მძაფრად რეაგირება. წარმოადგენენ წყლის გარემოსა და საკანალიზაციო სისტემისათვის საშიშროებას.</p>	<p>არ მიეცეს გაჟონილ ნივთიერებას წყლის გარემოში ან საკანალიზაციო სისტემაში შეღწევის საშუალება.</p>
<p>სხვა სახიფათო ნივთიერებები და ნაკეთობები</p>  <p>9</p>	<p>დამწვრობის რისკი. ხანძრის რისკი. აფეთქების რისკი. წარმოადგენენ წყლის გარემოსა და საკანალიზაციო სისტემისათვის საშიშროებას.</p>	<p>არ მიეცეს გაჟონილ ნივთიერებას წყლის გარემოში ან საკანალიზაციო სისტემაში შეღწევის საშუალება</p>

**შენიშვნა 1:** სახიფათო ნივთიერებებისათვის მრავლობითი რისკებით და ნივთიერებების შერეული პარტიებისათვის დაცული უნდა იქნეს ცხრილში ნაჩვენები ყველა მისაღები ღონისძიებები.

**შენიშვნა 2:** ზემოთაღნიშნული დამატებითი მითითებები შესაძლებელია ადაპტირებული იქნეს გადასაზიდი სახიფათო ნივთიერებების კლასების და გამოყენებული გადაზიდვის საშუალებების გათვალისწინებით.

დამატებითი მითითებები სატრანსპორტო საშუალების ეკიპაჟის წევრებისათვის სახიფათო ტვირთების სახიფათო თვისებების მახასიათებლებთან მიმართებაში დაყოფილი კლასებად და არსებული ვალდებულებების მიხედვით მისაღებ ღონისძიებებად, რომლებზედაც მიუთითებენ მარკირების ან გამაფრთხილებელი ნიშნები

მარკირების ან გამაფრთხილებელი ნიშნები	სახიფათო თვისებების მახასიათებლები	დამატებითი მითითებები
(1)	(2)	(3)
 <p>გარემოს მიმართ (ეკოლოგიურად) სახიფათო ნივთიერებები</p>	<p>წარმოადგენენ წყლის გარემოსათვის ან საკანალიზაციო სისტემისათვის საშიშროებას.</p>	
 <p>ნივთიერებები, რომლებიც გადაიზიდება მომეტებული (გაზრდილი) ტემპერატურის პირობებში</p>	<p>დამწვრობის რისკი სითბოს ზემოქმედების შედეგად.</p>	<p>მოერიდონ სატრანსპორტო ერთეულის გაცხელებულ ნაწილებთან და დაყრილ/დაღვრილ ნივთიერებებთან კონტაქტს</p>